ტესტი მუსიკაში

ინსტრუქცია

თქვენს წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან: I მოსმენის ნაწილი; II დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

მოსმენის ნაწილისათვის გამოყოფილია განსაზღვრული დრო. ტესტის ელექტრონულ ბუკლეტში თითოეული დავალების შესაბამის ინსტრუქციაში მითითებულია დავალების შესრულებისათვის განკუთვნილი კონკრეტული დრო.

დარჩენილი დრო თქვენი შეხედულებისამებრ გადაანაწილეთ ტესტის II ნაწილის დავალებებზე.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1-6.

<u>ინსტრუქცია</u>. პირველი ექვსი დავალებიდან თითოეული შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

დავალებისათვის განკუთვნილ მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია. ფრაგმენტის მოსმენამდე, გეძლევათ 10 წამი კითხვების წასაკითხად.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) **დავალება № 1.**

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

1.1 საქართველოს რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) სამეგრელოს;

ბ) გურიის;

გ) ხევსურეთის;

დ) კახეთის.

1.2 მრავალხმიანობის რომელ ტიპს განეკუთვნება სიმღერა?

ა) ბურდონულს;

ბ) კომპლექსურს;

გ) კონტრასტულს;

დ) ოსტინატურს.

(2) **დავალება № 2.**

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) რევაზ ლაღიძე;

ბ) გია ყანჩელი;

გ) ბიძინა კვერნაძე;

დ) ოთარ თაქთაქიშვილი.

2.2 რომელი საოპერო ხმა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) კონტრალტო;

ბ) სოპრანო;

გ) კოლორატურული სოპრანო;

დ) მეცო სოპრანო.

(2) **დავალება № 3.**

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

3.1 რომელი შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) სიმებიან-ხემიან საკრავთა ორკესტრი;

ბ) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი;

გ) სიმფონიური ორკესტრი;

დ) კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლი.

3.2 ვინ არის ნაწარმოების კომპოზიტორი?

ა) გუსტავ მალერი;

ბ) კლოდ დებიუსი;

გ) სერგეი რახმანინოვი;

დ) რიხარდ შტრაუსი.

(2) **დავალება № 4.**

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

4.1 რომელი საოპერო ხმა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) კონტრტენორი;

ბ) ბანი;

გ) ტენორი;

დ) ბარიტონი.

4.2 რომელ ეპოქას/მიმდინარეობას ეკუთვნის ნაწარმოები?

ა) კლასიციზმს;

ბ) ბაროკოს;

გ) იმპრესიონიზმს;

დ) რომანტიზმს.

(2) **დავალება № 5.**

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

5.1 რომელ ჟანრს განეკუთვნება ნაწარმოები?

ა) სონატას;

ბ) კონცერტს;

გ) უვერტიურას;

დ) სიმფონიას.

5.2 რომელ ეპოქას/მიმდინარეობას ეკუთვნის ნაწარმოები?

ა) იმპრესიონიზმს;

ბ) ბაროკოს;

გ) კლასიციზმს;

დ) რომანტიზმს.

(2) **დავალება № 6.**

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას:

6.1 რომელ ჟანრს მიეკუთვნება ფრაგმენტი?

ა) როკ ოპერას;

ბ) ოპერეტას;

გ) მიუზიკლს;

დ) ოპერა ბუფას.

6.2 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) ლაიონელ ბარტი;

ბ) ლეონარდ ბერნსტაინი;

გ) ჯორჯ გერშვინი;

დ) ფრედერიკ ლოუ.

(1) **დავალება № 7.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ბგერათა რიგს. სანოტო ჩანაწერში მოცემულ კილოთა ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ბგერათა რიგს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(1) **დავალება № 8.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაზას. სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი განსხვავებული რიტმული ფიგურაციიდან შეარჩიეთ მოსმენილის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. მუსიკალურ ფრაზას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს:



(5) დავალება № 9.

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში - *<u>მი ბემოლ მაჟორი (Es dur)</u>*

<u>თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში კალმით</u>.

(13) **დავალება № 10.**

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

<u>ინსტრუქცია</u>. გააანალიზეთ მუსიკალური ნაწარმოების ფრაგმენტი, აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე. ფრაგმენტს მოისმენთ სამჯერ, მოსმენებს შორის ორწუთიანი ინტერვალით. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

კითხვები იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე.

(2) 1. რომელ ჟანრს ეკუთვნის ნაწარმოები, რომლის ფრაგმენტსაც მოუსმინეთ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(3) 2. დაადგინეთ:

ა) ფრაგმენტის საწყისი ტონალობა;

ბ) 68-82-ე ტაქტებში მოცემული ფრაგმენტის მუსიკალური ფორმა;

გ) 81-82-ე ტაქტებში მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ მოცემული ფრაგმენტი მხატვრულ-ემოციური თვალსაზრისით; გააანალიზეთ და აღწერეთ მუსიკალური გამომსახველობის ხერხები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მუსიკალურ-მხატვრული შინაარსის შექმნისათვის (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა. შ. არის გამოყენებული მოსმენილ ფრაგმენტში).

(2) 4. მოსმენილი ნაწარმოების ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე, დაადგინეთ კომპოზიტორი და ეპოქა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

(3) 5. დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და აღნიშნეთ, რა სიახლე შეიტანა მან მუსიკის სფეროში; განიხილეთ ნაწარმოები, რომელსაც მოსმენილი ფრაგმენტი ეკუთვნის და იმსჯელეთ მის ისტორიულ - კულტურულ კონტექსტზე.

მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდებზე.


Largo.
f
pesante
dim.
p
Moderato.
6
p dolce
12


17
22
tr
Ped.
27
ritenuto


32
poco cresc.
6
6
6
35
a tempo
39
agitato


43
sempre più mosso
47
8
f
51
poco a poco meno f


55
59
63
smorz.
Meno mosso.
sotto voce
pp


69
75
81
sempre pp


85
89
sempre
dimin.
e rallent.
93
a tempo
sotto voce
pp


97
Ped.
Ped.
Ped.

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან, მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრაში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ., ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ, მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 11.**

რომელი მუსიკალური საკრავის პარტია ჟღერს მორის რაველის „ბოლეროში“ მთელი პიესის მანძილზე?

ა) დოლის;

ბ) ვიოლინოს;

გ) საქსოფონის;

დ) ვალტორნის.

(1) **დავალება № 12.**

რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიეკუთვნება კალენდარულ ჟანრს?

ა) „მირანგულა“;

ბ) „ბატონებო“;

გ) „ჩარი რამა“;

დ) „ალილო“.

(1) **დავალება № 13.**

რომელი დახასიათება *<u>არ შეესაბამება</u>* რიხარდ ვაგნერის ოპერა „ლოენგრინს“?

ა) ოპერის მხატვრული სახეები, პერსონაჟები და მოვლენები აისახება ლაიტმოტივური სისტემით;

ბ) ნაწარმოების საორკესტრო შესავალი - ფორშპილი მუსიკალური თემატიზმით დაკავშირებული არის ოპერასთან;

გ) მონოლოგებსა და დიალოგებზე აგებული საოპერო დრამატურგია გამორიცხავს საგუნდო სცენებს;

დ) ოპერის ლიბრეტო შექმნა თვით ვაგნერმა, გრაალის რაინდებზე არსებული ეპოსის საფუძველზე.

(1) **დავალება № 14.**

რომელი მუსიკალური ჟანრი ***<u>არ შეესატყვისება</u>*** **ბაროკოს ეპოქის მუსიკას?**

ა) ოთხნაწილიანი სიმფონია;

ბ) კომიკური ჟანრის ოპერა;

გ) ორატორია ბიბლიურ თემაზე;

დ) მრავალნაწილიანი კონცერტი.

(1) **დავალება № 15.**

რა ეწოდება რამდენიმე დამოუკიდებელი პიესისაგან შემდგარ ინსტრუმენტულ ციკლს?

ა) სიმფონია;

ბ) სონატა;

გ) კონცერტი;

დ) სიუიტა.

(1) **დავალება № 16.**

რომელ საცეკვაო ჟანრს ეყრდნობა ასტორ პიაცოლას შემოქმედება?

ა) ვალსს;

ბ) ხაბანერას;

გ) ტანგოს;

დ) პოლონეზს.

(1) **დავალება № 17.**

რომელი მუსიკალური ჟანრები ახასიათებს რენესანსის ეპოქას?

ა) ოპერა და კანტატა;

ბ) მესა და მოტეტი;

გ) სკერცო და ეტიუდი;

დ) ბალეტი და ჰიმნი.

(1) **დავალება № 18.**

რომელი ავტორის ლიტერატურული ტექსტი უდევს საფუძვლად ნიკო სულხანიშვილის გუნდ „მესტვირულს“?

ა) აკაკი წერეთლის;

ბ) გრიგოლ ორბელიანის;

გ) ილია ჭავჭავაძის;

დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის.

(1) **დავალება № 19.**

რომელი თავისებურება *<u>არ ახასიათებს</u>* ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინებას“?

ა) უვერტიურა განსაზღვრავს ოპერის განწყობას, მაგრამ მუსიკალური თემებით ოპერასთან არ არის დაკავშირებული;

ბ) ოპერის პირველწყარო, პიერ ბომარშეს კომედია ფრანგულ ენაზეა, ხოლო ლიბრეტო - იტალიურ ენაზე;

გ) ოპერა ეყრდნობა არა ნომრულ სტრუქტურას, არამედ უწყვეტი განვითარების პრინციპს;

დ) ნაწარმოები მიეკუთვნება ოპერა ბუფას ჟანრს, თუმცა სხვა ჟანრის ოპერების ნიშნებსაც შეიცავს.

(1) **დავალება № 20.**

რომელი მუსიკოსის „პორტრეტი“ *<u>არ არის</u>* რობერტ შუმანის საფორტეპიანო სიუიტა „კარნავალში“?

ა) იოაჰანეს ბრამსის;

ბ) ფრედერიკ შოპენის;

გ) ნიკოლო პაგანინის;

დ) რობერტ შუმანის.

(1) **დავალება № 21.**

მუსიკის რომელი მახასიათებლების წყვილი შეესაბამება რომანტიზმის ეპოქას?

ა) კონჩერტო გროსო და დინამიკური კონტრასტები;

ბ) საგუნდო a cappella და მონოდიური აზროვნება;

გ) საცეკვაო სიუიტები და პოლიფონიური წყობა;

დ) მინიატურული ფორმები და პროგრამული მუსიკა.

(1) **დავალება № 22.**

რომელი მუსიკალური საკრავები გამოიყენა კამილ სენ-სანსმა პიესაში „გედი“ ინსტრუმენტული ნაწარმოებიდან „ცხოველთა კარნავალი“?

ა) სოლო კონტრაბასი და ფორტეპიანო;

ბ) სოლო ვიოლინო და კამერული ორკესტრი;

გ) სოლო ფლეიტა და სიმფონიური ორკესტრი;

დ) სოლო ვიოლონჩელო და ფორტეპიანო.

(1) **დავალება № 23.**

ჯუზეპე ვერდის ოპერის რომელი ეპიზოდი დაედო საფუძვლად ფერენც ლისტის პარაფრაზა „რიგოლეტოს“?

ა) რიგოლეტოს სცენა და არია მეორე მოქმედებიდან;

ბ) მადალენას, სპარაფუჩილესა და ჯილდას ტრიო;

გ) ჰერცოგის, მადალენას, რიგოლეტოსა და ჯილდას კვარტეტი;

დ) ჯილდას რეჩიტატივი და არია პირველი მოქმედებიდან.

(1) **დავალება № 24.**

რა ფორმით იწერება კლასიკური სიმფონიური ციკლის მესამე ნაწილი - მენუეტი?

ა) სამნაწილიანი ფორმით;

ბ) რონდოს ფორმით;

გ) სონატური ფორმით;

დ) ვარიაციული ფორმით.

(1) **დავალება № 25.**

რომელ ენაზე იწერებოდა შუა საუკუნეებში მესის საგალობლების ტექსტები?

ა) იტალიურ;

ბ) ლათინურ;

გ) გერმანულ;

დ) ფრანგულ.

(1) **დავალება № 26.**

რომელი ტერმინი აღნიშნავს მუსიკალური ხმოვანების სიძლიერის მატებას?

ა) Diminuendo;

ბ) Agitato;

გ) Accelerando;

დ) Crescendo.

(1) **დავალება № 27.**

რომელი შემოქმედებითი თავისებურება *<u>არ შეესაბამება</u>* ბელა ბარტოკის მუსიკალურ სტილს?

ა) აკუსტიკური და ელექტრონული მუსიკის გამომსახველი ხერხების გაერთიანება;

ბ) პროფესიულ მუსიკაში ხალხური მუსიკის რიტმისა და ინტონაციის შეღწევა;

გ) ტონალური წყობის რღვევა და დიატონური კილოური სისტემის გამოყენება;

დ) აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსიკის სტილურ თავისებურებათა სინთეზი.

(1) **დავალება № 28.**

რომელი ოპერის ლიბრეტო ***<u>არ არის დაწერილი</u>*** **გერმანულ ენაზე?**

ა) რიხარდ ვაგნერის „ვალკირიის“;

ბ) ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტის“;

გ) გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის „რინალდოს“;

დ) კარლ ვებერის „თავისუფალი მსროლელის“.

დავალებები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ და პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში ჩაწერეთ: ინტერვალი, აკორდები და კილო <u>*მი*</u> ნოტიდან.

(1) 29. შემცირებული სეპტიმა;

(1) 30. მაჟორული კვარტსექსტაკორდი;

(1) 31. მცირე მინორული სეპტაკორდი;

(1) 32. ჰარმონიული მინორი.

დავალებები № 33 - 35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. დაადგინეთ შესაბამისობა მათ შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის *<u>მხოლოდ ერთი</u>* მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). ყოველი შერჩეული შესაბამისობა X ნიშნით მონიშნეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) **დავალება № 33.**

დაადგინეთ შესაბამისობა საფორტეპიანო ჟანრებსა და ნაწარმოებებს შორის:

1. სონატა	ა) „კამპანელა“
2. ეტიუდი	ბ) „აპასიონატა“
3. პრელუდია	გ) „ბუბული“
	დ) „ნაბიჯები თოვლში“
	ე) „ღამის გასპარი“

(3) **დავალება № 34.**

დაადგინეთ შესაბამისობა მოქმედ გმირებსა და ოპერებს შორის:

1. კალაფი	ა) „არიადნა“
2. მაზეტო	ბ) „აიდა“
3. ესკამილიო	გ) „ტურანდოტი“
	დ) „კარმენი“
	ე) „დონ ჯოვანი“

(3) **დავალება № 35.**

დაადგინეთ შესაბამისობა მუსიკალურ მიმდინარეობებსა და კომპოზიტორებს შორის:

1. მინიმალიზმი	ა) ფრანც შუბერტი
2. ბაროკო	ბ) არნოლდ შონბერგი
3. რომანტიზმი	გ) იოჰან სებასტიან ბახი
	დ) სტივ რაიხი
	ე) იოზეფ ჰაიდნი

დავალებები № 36–40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, შესაბამისი უჯრა X ნიშნით მონიშნეთ; ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; *<u>თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.</u>*

მცდარი დებულების შემთხვევაში, შეგიძლიათ, როგორც მოცემულ განმარტებას შეუსაბამოთ სწორი ტერმინი/სიტყვა, ისე მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწეროთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ პასუხი იმ შემთხვევაში არ მიიღება, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 36.**

Presto - მუსიკალურ ინსტრუმენტზე ბგერის მიღების ერთ-ერთი ხერხია.

(1) **დავალება № 37.**

Pizzicato - მუსიკაში ემოციის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინია.

(1) **დავალება № 38.**

გურული ხალხური სიმღერა „ხასანბეგურა“ კონტრასტული მრავალხმიანობის ნიმუშია.

(1) **დავალება № 39.**

Sprechgesang - ეწოდება მღერას ინსტრუმენტული აკომპანემენტის გარეშე.

(1) **დავალება № 40.**

Staccato - აგოგიკის აღმნიშვნელი ტერმინია.

დავალებები № 41 – 42.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ფურცელზე მოთავსებულ ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა აღნიშნულია ციფრებით 1-დან 4-მდე. ჩაწერეთ პასუხები შერჩეული ციფრის გასწვრივ უჯრაში, ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) **დავალება № 41.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ფრანგი კომპოზიტორების გვარები, მათი მოღვაწეობის პერიოდების მიხედვით:

ა) ჟორჟ ბიზე;

ბ) კლოდ დებიუსი;

გ) კლემან ჟანეკენი;

დ) ოლივიე მესიანი.

(1) **დავალება № 42.**

ქრონოლოგიურად დაალაგეთ საოპერო მომღერლების ჩამონათვალი მათი მოღვაწეობის პერიოდების მიხედვით:

ა) ლუჩანო პავაროტი;

ბ) მარიო დელ მონაკო;

გ) ენრიკო კარუზო;

დ) ხუან დიეგო ფლორესი.